საქართველო

ორიათასთოთხმეტი წლის ოცდასამ დეკემბერს

მე, ნოტარიუს ნინო გახოკიძეს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ათონელის ქ. №11/23-ში, მომმართა: **ვახტანგ ხვიჩიამ,** რომელმაც განაცხადა რომ სურს ხელმოწერის დამოწმება **თანხმობაზე.**

მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად მომმართა:

ვახტანგ ხვიჩიამ, დაბ. 14.04.1969წ. რეგისტრირებული და მცხ. ქ. თბილისი რუსთავის გზატ. N 13 ბ. 53, პირადი № 01016004487

აღნიშნული მომენტისათვის მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა.

მე ნოტარიუსმა ნინო გახოკიძემ შევადგინე წინამდებარე თანხმობა ტექნიკური საშუალების გამოყენებით **ხელმომწერი პირის კარნახით და სურვილით.** მე განუმარტე ხელმომწერ პირს თანხმობაზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან წაიკითხა და დაადასტურა რომ წინამდებარე თანხმობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას,

მე, ნოტარიუსი, ამ თანხმობის დამოწმებისას ვადასტურებ რომ ხელმოწერა მასზე უშუალოდ ხელმომწერ პირს ეკუთვნის და არ ვადასტურებ თანხმობაში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად, პასუხს არ ვაგებ მათზე.

ხელმოწერა შესრულებულია ხელმომწერი პირის მიერ პირადად, ჩემი თანდასწრებით.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური ორი ლარი + ორი ლარი სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა, „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ (29 დეკემბერი, 2011 წ., დადგენილება №507) 31-ე და 39-ე მუხლებისა.

თ ა ნ ხ მ ო ბ ა

მე, ვახტანგ ხვიჩია, დაბ. 14.04.1969წ. პირადი № 01016004487, არქიტექტორი, რომელსაც მაქვს საავტორო უფლება (შეთანხმებული არქიტექტურის სამსახურის მიერ) არქიტექტურულ პროექტზე, 04.11.2014 წლის ბრძანება №1576247, რომელიც შესრულდა მისამართზე: ქ. თბილისი, შატბერაშვილის ქ. №44-ში, ვაძლევ უფლებამოსილებას სხვა არქიტექტორს მოახდინოს ამ პროექტის კორექტირება და შეიტანოს ცვლილებები. რაზედაც პრეტენზია არ გამაჩნია და ვაწერ ხელს.

ვახტანგ ხვიჩია _____

ნოტარიუსი

/ნინო გახოკიძე/

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N141393750
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	23.12.2014 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ნინო გახოკიძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, ათონელის ქ. 11/23
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	98 21 98
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	11980183845814

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18